ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1587500

ნომერი: AR1252774

თარიღი : 19.10.2014

გაცემის თარიღი : 10.11.2014

გაცნობის თარიღი : 10.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , დავით აღმაშენებლის ქუჩა N4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან კერატიშვილი პ/ნ 01025012045
- თბილისი. დ/დიღომი მე-3 მ/რ. კ-2.ბინა-35

ორგანიზაცია:
- შპს ვაზი კოდი: 204859180

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.11.2013წ. #976548 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 23/09/2014წ. #AR1252774 განაცხადით მომართა ლევან კერატიშვილმა და მოითხოვა ცვლილების შეტანა ამავე სამსახურის 01.11.2013წ. #976548 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 01.11.2013წ. #976548 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი (წყნეთი), დაბა წყნეთში, დავით აღმაშენებლის ქ.#4-ში, შპს „ვაზის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა შერეული ფუქციის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ვაზი".

განმცხადებლის განმარტებით, პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, კერძოდ, დაფიქსირდა: საერთო ფართობი (კვ.მ).: 1030.0, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 28.0.

აღნიშნულის გამო, დღეისათვის, სამსახურს მომართავს დამკვეთის, შპს „ვაზის" ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, დირექტორი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13047168, ამონაწერის მომზადების თარიღი: 10/05/2013 10:58:06) და ითხოვს ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში მიეთითოს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 1092.0, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 90.0, დანარჩენი მაჩვენებელები დარჩეს უცვლელი.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.11.2013წ. #976548 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 1092.0, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 90.0, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.11.2013წ. #976548 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.